ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ლ ე ნ ტ ე ხ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

G E O R G I A

CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

განკარგულება:**ჯ-97. 97223337**

თარიღი:**29/11/2022**

დაბა ლენტეხის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ლექართის უბანში ქუჩისთვის ცნობილი ხელოვანის - ამირან ლიპარტელიანის სახელის მინიჭების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.ე“ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივნისის N-19 დადგენილების მე-6 და მე-7 მუხლების თანახმად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დაბა ლენტეხში ლექართის უბანში მდებარე ქუჩას მიენიჭოს ცნობილი ხელოვანის ამირან ლიპარტელიანის სახელი.

2. განკარგულება გადაეგზავნოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას.

3. ეთხოვოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას აღნიშნული ქუჩის სიტუაციური რუკის (ქაღალდის ელექტრონული ვერსიის)დამუშავება. რუკაზე წერტილებით და ხაზებით უნდა იყოს აღწერილი ქუჩის ფორმა და გავრცელების არეალი. ქუჩის დასაწყისი და დასასრული უნდა აღიწეროს წერტილებით, რომელსაც უნდა ახლდეს X,Y კოორდინატებიWGS-84 კოორდინატთა სისტემაში.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით.

5. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი